ISSN 0132-6015

№ 13 ივლისი 1986

ნიანგი

ვახ, ტიკო, ნარკოტიკო!..

ამ სიმღერას ბნელში კარჩაკეტილში ჩუმად მღერიან, თუმცა გულითაც რომ უნდოდეთ, ხმამაღლა ვერც იმღერებენ მისი მოყვარულნი, რადგან სხვა ადამიანურ ღირსებებთან ერთად ხმაც წართმეული აქვთ, ამას ემატება კანის სიყვითლე, ლორწოვანი გარსების სიმშრალე, ყაბზობა, უმადობა (უიმედობაც), წონაში დაკლება, ხოლო რაც შეეხება ჭკუას, აქ გარკვევით ვერაფერს ვიტყვით, მივუთითებთ მხოლოდ ლექსიკონზე, სადაც წერია, ნარკოტიკი ბერძნული სიტყვაა და ქართულად გამაბრუებელს ნიშნავსო. ჰოდა, ნარკოტიკებით გაბრუებულ კაცს, ცხადია, ჭკუაც აღარ მოეთხოვება!..

აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა უნდა გავაკეთოთ: სიმღერის — „ვახ, ტიკო, ტიკო, ნარკოტიკო!“ — შემსრულებელთა კონკურსის მონაწილეთათვის არც ჭკუის ქონაა საკალდებულო და არც სინდისისა, მოქალაქეობრივ ვალდებულებასთან ერთად მოყვასის პატივისცემასა და სიყვარულს რომ გულისხმობს. საჭიროა მხოლოდ ნარკოტიკებით გახურებული გოგრა, რაც შინაგან და გარეგან თავისუფლებასაც ანიჭებს კონკურსის მონაწილეს, საშუალებას აძლევს შეასრულოს სიმღერა სხვადასხვა გადასვლებით (ოთხფეზზე, მუხლისთავებზე, იდაყვებზე და კისერზე, აგრეთვე მალაყებზეც) და ვარიაციებით (პანტაპონური, ომნოპონური, ჰეროინული, მარიხუანული და სხვ.).

სწორედ ასეთი ვოკალური და კოკაინური მონაცემებით შეასრულეს ეს სიმღერა და კონკურსის ლაურეატები გახდნენ შემდეგი სა... ჰაშიში „ნახალნაგლები“:

1. ედუარდ სარქისის ძე სიმონიანი, რომელმაც ამ სიმღერის შესრულების დროს მოაგროვა გამსვლელი ქულა — **0,5 გრამი ოპიუმი** და უკვე მესამეჯერ მოიპოვა პრემია — **ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა.** ამით ასახელა თბილისის დასახლება ვაზისუბანი, სადაც იგი ცხოვრობდა.

2. გოჩა რობერტის ძე სადრაძე — ეს ახალგაზრდა მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედიდან შემოქმედებითად შეუდგა სიმღერის შესრულებას, კი დააგროვა ქულები **(1. 416 გრამი ჰაშიში),** მაგრამ გამოუცდელობის გამო მაღალ რეგისტრში ხმა აღარ ეყო და **ორი წლით თავისუფლების აღკვეთას** დასჯერდა.

3. რომან რუბენის ძე დევდარიანი ქუთაისის სახელით მონაწილეობდა კონკურსში და თანაც უკვე მეორედ! მანაც ფინალში გამსვლელი ქულა მოიპოვა — **0,7 გრამი ოპიუმი** და მასვე მიენიჭა პრემია — **ათი წლით თავისუფლების აღკვეთა.**

4. ლევან მიხეილის ძე დარჩიამ სიმღერა შეასრულა პირთან მიტანილი ჰიქით (რეზონანსისათვის), თანაც ავტომანქანაში მჯდარმა, მანქანის გამოყენებით მან დააგროვა **36,312 ქულა-გრამი ოპიუმი,** მაგრამ, როგორც კონკურსში შემთხვევით მონაწილეს, **ორი წლით თავისუფლების აღკვეთა** აკმარეს.

5. დავით ანტონის ძე დუმბაძემ შესაშური ტექნიკა გამოავლინა სიმღერის ანაშური შესრულებით და დააგროვა პირველი საპრემიო ქულა — **2,2 გრამი.** შემდეგ კი ტანსაცმლის შარიშურით ჰაშიშური იმღერა და **680 გრამი** დააგროვა, რისთვისაც პრემიად მიესაჯა **4 წლით თავისუფლების აღკვეთა.**

6. ვალერი ბიქტორის ძე ტროფიმენკო — საკავშირო მასშტაბით ცნობილი მელომანი და ნარკომანი ანაშურის ადრე ბავშვური, ახლა კი ვაჟკაცური შემსრულებელი. მან ყველა ვარიაცია უნაკლოდ შეასრულა და მხოლოდ მორფინულში გამოურია ფინიას წკავწკავი. დაჯილდოვდა ლაურეატის დიპლომით — **ქონების კონფისკაციითა და ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთით გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.**

7. თეიმურაზ კუპატაძე — გარდაბნის რკინიგზის სადგურის მატარებლების შემდგენელი — ზოგჯერ ბანს აძლევდა „ვახ, ტიკო, ნარკოტიკოს“ შემსრულებელს და მხოლოდ საჯარიმო ქულები დააგროვა, მაგრამ, როგორც ცოლშვილიანს, ანგარიში გაუწიეს და ჯილდო მაინც არგუნეს — **იძულებითი მკურნალობის დიპლომი და ორი წლით თავისუფლების აღკვეთა.**

ეს შესანიშნავი შვიდეული კონკურსის პირველ ტურში გამოვლინდა, მომდევნო ტურების ლაურეატებს სულ მალე გაეცნობით!

ს. ხვამლელი



უსიტყვოდ

გურამ კლდიაშვილი

ხმა ავიმაღლოთ სუყველამ!

— ნახე, რა მალე გაება ეს საცოდავი!..



ნახატები მ. ახალაძისა, ჯ. ლიტლფასი და ბ. პეტრიაშვილისა.



დღისით და მზისით
ჩვენს თვალწინ
დადის სიკვდილის
მთესველი,
რომ მომავალი
მოგვისპოს,
ამოგვიძირკვოს
ფესვები!..
ბაცილებივით
ავრცელებს
ოპიუმებს და
ანაშებს!..
არ ერიდება
არაფერს —
არც თავისმომჭრელ
თამაშებს,
არც ქვეყნის ღალატს
თაკილობს,
არც სასიკვდილო
დაცინვას!..
ავრცელებს შვილთა
აკვნებში
ერის დამღუპველ
ვაქცინას!..
ის კაცთა მოდგმის
მტერია,
დაწყევლილი და
უღირსი,
რომ მოსპოს
სხვათა ნაგრამი
თავის არამი
ლუკმისთვის!
დაძრწის ორფეხა
კაცუნა
სამსალით სავსე
გიდელით, —
ეს ნაძირალა,
ავსული,
მორფინისტ-
გადამყიდველი!..
დაძრწის და
დააქვს სიკვდილის
აჩრდილი კარით
კარამდე!..
შვილთა ნაბოძებ
სიცოცხლეს
რომ გვართმევდეს და
გვპარავდეს,
რომ შევრჩეთ
შთამომავლობას
უშვილოდ და
უძიროდ!..
ხმა ავიმაღლოთ
სუყველამ,
რომ ჩვენს მომავალს
ვუმზიროთ!

ქართული სიბრძნე

● **დიდება** და ხახელი შრომის ხელშია.

● **ამ ქვეყანაზე** მხოლოდ პატიოსნება ლაპარაკობს უენოდაო.

● **პატიოსან** კაცს ძილი არ გაუფრთხებაო.

● **პატიოსნება** ფულით არ შეიძინებაო.

● **ნამუსისათვის** ამოვა ულვაში, თმა და წვერია, რაც გინდა ელაპარაკე, თუ კაცსა არა სცხვენია.

● **ვაჟკაცი** სადაც შერცხვება, იმის სამარეც იქ არის.

● **სირცხვილი** სიკვდილია.

● **სინდის-ნამუსი** რჯულ-სამართალია.

● **სინდისს** კბილები არა აქვს, მაგრამ კბენა კი იცისო.

● **წყალი** ყველაფერს გარეცხს, ნამუსის გარდაო.

● **სინდის-ნამუსი** კეტზე მაგარიაო.

● **ზოგიერთმა** კაცმა იცის, გაძღება და გაგორდება, რაგინდ საქმე უსდებოდეს, საქმე აღარ აგონდება.

● **ოქრო** რომ ამოტივტივდება, სამართალი დაიძირებაო.

● **პატარა** ძღვენი და — დიდი სირცხვილიო.

● **სადაც** ფული ჩხრიალებს, იქ სიმართლე ხრიალებსო.

● **სიზარმაცე** სიღარიბის გასაღებიაო.

● **ალალი** კაცის ჭირიმე, ალალი სული ამოსდის; ღმერთმა დასწყევლოს არამი, არამი სული ამოსდის.

● **არმად** ნაშოვნი არმად წავაო.

● **ვინც** მდიდარია ფულითა, ის ღარიბია გულითა.

● **ფული** მოსამსახურედ კარგია, ბატონად კი არ ვარგაო.

● **ღორმუცელა** კაცის აშენება არ შეიძლებაო.

● **ხარბის** თვალი არ გაძღებაო.

● **მუცელი** მადლობას არ გეტყვის.

● **მუცელი** ჩემ ქვევით არი, ჩემ ზევით არაო.

● **საოხრო** და სატიალო შინ არ შეიტანებაო.

● **სიხარბე** კაცს ჭკუას წაართმევსო.

● **ეს ზოგი** კაცი რასა ჰგავს, ან ცხოვრობს ნეტა რისთვისა?! — რასაც იშოვის, იპოვის იმ ერთი შავი დღისთვისა, არც თავის თავზე დახარჯავს, არც სხვისთვის, არცა ღვთისთვისა; გადაბრუნდება, მოკვდება, დარჩება ეშმაკისთვისა.

● **გაძღომას** ძროხაც მიხვდებაო.

● **კაცო**, ხალხისა ქებითა ნუ გაიდიდებ თავსაო, დღეს ერთი ყვავის ყვავილი, ხვალ შლილობა აქვს სხვასაო.

● **ნუ** სცრუობ, ნუ ამპარტავნობ, ნუ ეთელები ქალთაო, გაჭირდეს — გამოექცევი ამოღერებულ ხმალთაო!

● **გლახა** ამპარტავანი მიწას ემძიმებაო.

● **ძალიან** ნუ აიწევი — მაღლა ღმერთიაო!

● **სიმართლე** გაშლილი სუფრაა — რომ დაიკეცოს, ისევ გაიშლებაო.

● **სიმართლე** ბოლომდე გასჭრისო.

სიმართლე ზღვაში რომ გადააგდო, არ დაიკარგებაო.

● **სიმართლე** თქვი და — მკვდარი ადგებაო.

● **სიმართლის** წინ მთებიც კი თავს მოიხრიანო.

● **ავის** მქმნელს ავი დაემართებაო.

● **ავკაცობა** არავის შერჩენია

● **ვისაც** სიმართლე არ უყვარს, მართლის მთქმელი ეჯავრება.

● **იცოდე**, კუტი სჯობია კაცსა — ცუდ გზაზე მავალსა; ქვემძრომი გველი სჯობია სამშობლო ქვეყნის მტარვალსა!

● **პირმოთნე** კაცი მტერზე უარესიაო.

● **პირში** მაქებარი ეშმაკის მოციქულიაო.

● **ბოროტს** და უნამუსოს ვინც არ მოშორდება, მისი ფერიაო.

● **ნამუსის** ძაფი წმინდაა, უნამუსობისა კი — მსხვილიო.

● **ნამუსიანს** ერთი უთხარი, უნამუსოს — ათასიო!

● **მთვრალი** ეშმაკის ძმაო.

● **ღვინო** გართმევს გონებასაც და ქონებასაცო.

● **თეთრისა** თხისა ციკანსა შორს შეეტყობა ვაცობა, დღეს ღვინო გალაპარაკებს, ხვალ ვნახოთ შენი კაცობა!

შეკრიბა ალექსი ჭინჭარაულმა



ნახ. ბ. კუციასი





ულიტყვოდ

ჩვენ ხშირად იოლად წამოვკრავთ ხელს და ვამბობთ — „ორი-სამი წუთით!..“ მაგრამ იცით კი, რა შეიძლება მოხდეს თუნდაც სამ წუთში?!

სამ წუთში კონტინენტიდან კონტინენტზე ტელეტაიპით შეიძლება გადავცეთ დაახლოებით 320 სიტყვა. 320 სიტყვა კი იმდენია, რამდენიც გალაკტიონის ცნობილი ლექსები: „მერი“ და „უსიყვარულოდ“ ერთად აღებული. ხედავთ, რა ადვილია შედევრების კონტინენტიდან კონტინენტზე სწრაფი რეკლამირება? მოფიქრება თქვით, თორემ დღეს ბეჭდვა აღარ ჭირს.

სამ წუთში თბილისის „დინამოს“ კარში ორი პენალტის დანიშვნა შეიძლება, როგორც ეს მარშან მოხდა ოდესის „ჩერნომორეცთან“ შეხვედრისას.

ერთი ღერი სიგარეტიც სამუშაო დროის ზუსტად სამ წუთს კლავს. თქვენ თუ საშუალოდ ერთ კოლოფ სიგარეტს ეწევით, ამან მთელი დღის განმავლობაში შეიძლება საათსაც გადააჭარბოს. ეს, რაც შეეხება სიგარეტს. ჩვენ არაფერს ვამბობთ ჭადრაკზე, შაშზე, დომინოზე, კოსმეტიკაზე, საუბრებზე, თითო კათხა ლუდსა და სხვა ამგვარ წვრილმანებზე.

სამ წუთში თანამედროვე მოდერნისტ-პიანისტს შეუძლია შეასრულოს სამნაწილიანი საფორტეპიანო სონატა კლავიშებისა და ბგერების გარეშე ისე, რომ თითიც არ გაანძრიოს. ეს ერთადერთი იოლი მოდერნია, რომელიც ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია შეასრულოს ყოველგვარ ინსტრუმენტზე, ელექტრონულზეც კი.

სამ წუთში დედამიწის მოსახლეობა საშუალოდ 600 კაცით იზრდება. ეს ტემპი რომ საქართველოს მისცა თუნდაც ერთი თვის განმავლობაში, ჩვენი მოსახლეობის რიცხვი 14 მილიონს მიაღწევდა. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, აქედან უთუოდ შეირჩეოდა ორი კარგი საფეხბურთო გუნდი და შეიძლება მესამესთვისაც გამოგვეკრა ხელი.

სამ წუთში ცენტრალური გათბობის ბატარეის ტემპერატურა პლუს 20 გრადუსიდან (ჩვენ მაქსიმუმს ვიღებთ!) მინუს 5 გრადუსამდე შეიძლება დაეცეს და კომუნალური მომსახურების განყოფილებაში ტელეფონის ასამდე უიმედო ზუმერი გაისმას.

თუ თქვენი საათი დღე-ღამის განმავლობაში სამი წუთით ჩამორჩება, წელიწადის განმავლობაში იგი მთელი 18 საათის ეკონომიას მოგვცემს.

ესეც ჩემი 230-ე სიტყვა და უკვე ამდენი ინფორმაციის მოწოდება მოვასწარი, სამი წუთი ჯერაც არ გამისრულებია. ამ წერტილიდან კი 320-მდე ჯერ კიდევ 30 სიტყვა დამრჩა; მაგრამ დაე, იგი თქვენი ფეშქაში იყოს, რათა უკეთ აწონ-დაწონოთ ყოველი წუთის ფასი და მნიშვნელობა!

ზაზა ქინქლაძე

ნახ. ბ. პეტრიაშვილისა



— შენ ამ თაგვს მასე ნუ უყურებ! — მივიყვან ათლ-
საწყობში და მთელ დანაკლისს ამას დავაწერ!

ნოველა

ეპანიო, ჩემი კარის მეზობელი, ხმირად დადის მიელნებებში — გაჯადაა და გაჯმოლა — საზღვარგარეთიო, მოსკოვი, ლენინგრადი, ოდესა და, რა ვიცი, კიდევ სადაც არასოდეს არ მიეფრენია. ხან გასალეში ჩამოსასვლი ხან, ხან — ფურნალი, წიგნი და სხვა რაღაც. ახლაც, დაბურნდა თუ არა, ისევ სალამის მეცხერი, ჯეიფელი სანთიანებელ და ორი კოლეფი უცხოური სიგარეტი მაჩუქა. ზოგიერთ ადგილებში ჩამოვიწყნა, ერთი ბოლი „ენინელეთ“ ნიკა-ნუბა გაიწია, ბოლოს — აბა, ბენ იცი, და დამეშვეოლა.

საჩაქერთ მოეიინიეს. სანთიანებელ და სიგარეტი რა არის? ფურნალებსა მოიკარნ! გაგხსენი პირველი კოლეფი, ერთი ფურნალებსა მოიკარნ! ჩამოეკანი ცერი გორეოლაკს, მოეკოფდე ეკ, საკარძლის საზურგეზე სასხვეოდ ზამოწოლილია, სიამოვნებით გაგებოლეე. ხელეთ, სურნელოვანი ბოლის ჩაოლეები ფეთერი ღრუბლებივით ფენებად აიხლაბნა ბერისაკენ... ეკ, ბენ ნორეი კიეი ეს ეანაო — ფიდის, მოკზორინს, ეიენობ ხალეს, ნახულობს ბლეკეს. ეწეეი „მალბოროს“ ფა, როგორც ანდრეი. კოზნეეიესეკი იტყოფდა ანბრიეკეკენის ზეესაბეს, „ლეონარდოდ ეიენობ ჩქმეტს“. ამ ფიტრეობნი გაართულნა ავალლეეკ ჯამ-ეეკეეკელი, ეარიეკეი ბოლი კარადაში ზეკეინაბ ფა ფიდიდან ზოოეეზადე.

ზეორე ფიდლი ფიდნაბს. ეკოოფანაბდი: ვერ ბალაბეეზეკეეტს, ორიდე კოლეფი სიგარეტი ეაქეეი სანსაბეკონი, თუ ეზოოლოდ ორიდე კოლეფი ჩაკიდე ეკიეეზი — ფაინანხინ, ზეეზეერნი. ბოლოს ორიდე ჩაკიდე ეკიეეზი — ფაინანხინ, ზეეზეერ-ფდეი! ეკეტეკეი, ბეზოიანეი ბიეეი ფა ინაბ ჩამოიბოკანა საზღეარგარეთიდან-ეეეკენ. ითითოს ზეოკეეკენეზ, ბეტს ეარა!...

პირველი ჭიჭკეო ზეეზეოკეი სიფიანანოოფან. ლეეზანდ ფეეეეკ ეანი ფაპაბოლოა — „ბოლე ეერი ბაპირიოს! რაკ ეეეეი?

ზე ეეკრა ეკეზოკეეკეკ — „ბოლე ეერი ბაპირიოს, ბაკრაბ ამაკი ეიმილეთ, ოდნეკ ფეიდეკეკ ეკეკანიკალეკ ბაკეიანიკალეკ ზეკეიანეკ ფა ოკროოსეკ ზოოლეკეკ ეიკეიანეკ კოლეფი.

— ეკ, ფიორბ?! — ეკეკეკრეკ ჭიჭკეო.

— პო, ერთი ჩემი ზეზოკალი იყო საბ-ფარანეიკოოფი და ეეეიფიდან ჩამობიანეკ, ეიფრეკ ეკეეზეოოლეკ.

ჭიჭკეკოოფ ერთი ღერი ამოიღო და ზოოკეკოდა.

— სოლ სხვაა, ეარ?! — ეარ ეკეოოხეკ, ფარეზეეეკენი ფოოხრა. ამ ფეროს ეკოფერეკი ფაკეკეკეკ თავეზ.

— ნახეკ ეკეეინ ფაპაბი?

ზე ეარიბ ნიმნაკ თავი ეკეკანეკ.

ჭიჭკეოს ეკაბა.

— ეეერე ოე ოიიაბაეზ, სამეეეზნი ნამდეკლაკ ზოოკედებიიბ! — ზეენეკიბ ტოონიბ აენიეზნ ფაბ.

ეკოეერანიბ სიგარეტკ ზოკკრ თკალეი.

— ბიჭოს, რა კოლეფიბ! ცარიელია?

— ამოიღე! — ზრაკაკნინეკეეკეკეეზ ეკეკეეეზ ეკ.

ამოიღო ერთი ღერი, ეკეკ ფაიეზიბა ფა ზეერ ზოოკეკეკ.

— ანფიეკეი სიგარეტი ეს აბ არის, ჩვენი ეკოინა! — ფაპინეკ ეკეოოკეკ სასიკეკეკეკ ანანეზეკ.

— ვის რა ეურჩვენია, — აბ ზეკეკეკამეთ, — ეკეზოკეეზეს საკეზ-ფა.

— ეეკ ნა ეკეკეპს სიგარეტკბ?! — ზეეტეია ჭიჭკეოკ. — ეკეზინ ფიიზეკ ზოოკეკეკ. აბ ფაკეკეზ, ეკეზ? ეინ ეკეზეკეკეს?! ეკეკეკეეზეკ ეკეკეკ ეკეკეკ ეკეკეკ სიგარეტკბ!

— აბა, ისე არა ეეეაბ. — ფაიიზეა ეკეკ ეკეოერეკიბ, — ერთი ღერის ეკანინეკეკ ზეკეიეკეკ.

— ეოოკ, აბა, ეეკეოოკეეზ ფეეეეკეკ! — ეკეზოკეეზეკ ეკეკეეეკ ეკეკეეეკ ეკეკეეეკ ეკეკეეეკ ეკეკეეეკ ეკ ეკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ჭეშმარიტი საქართველო!...

ROGORC ცხელა! არ გინდა, ამ ხუთვაში გაგრამდე გაძლება?! — ჩაილაპარაკა შეწუხებულსახიანმა ქალმა და ვაგონის ფანჯრის სახელურს მიაპყრო საცოდავი მზერა, — კაცი თითქოს გონს მოეგო, ადგა და ფანჯარა ჩამოსწია.

— დასასვენებლად მიემგზავრებით, არა?— გადადგა პირველი ნაბიჯი გაცნობისკენ კაცმა.

— დიახ!

ქალმა ჩანთიდან რომელიღაც ფრინველის ბოლოსავით ლამაზი, ყვავილებით მოხატული მარაო ამოიღო, გაშალა, ჰაერი გაინიავა და ქართლის პეიზაჟებს დაუწყო ცქერა. კუპეში პარფიუმერიის საამო სურნელი დადგა.

— მეც დასასვენებლად მივდივარ, ოღონდ ბიჭვინთაში, — გაუბა საუბარი კაცმა, — ადრე გაგრაში დავდიოდი. ეს ბოლო წლეებია, ბიჭვინთისკენ მიმიწევს გული, რატომღაც შემიყვარდა საოცრად.

— ბიჭვინთამ მოჯადოება იცის. ბევრჯერ დამისვენია მანდ. — თქვა სინანულით ქალმა.

— ვერ იტყვი, რომელი სჯობს, გაგრა თუ ბიჭვინთა, — განაგრძო კაცმა. — ხომ გითხარით, ადრე გაგრაში დავდიოდი დასასვენებლად, რატომღაც, ეს ბოლო წლებია, ბიჭვინთის სილამაზით ვტკბები...

— არა, ბიჭვინთა მართლა საოცრებაა, მოჯადოება იცის! — გაიმეორა ქალმა.

— ლიძავაში მიყვარს დასვენება, — აშკარად შეეტყო მღელვარება ხმაში კაცს,—აქეთ უნაპირო ზღვა, იქით — მინიატიურული კამკამა ტბა, ორივეს ერთად მარადდათოვლილი კავკასიონი გადმოჰყურებს. შემოგარენი ველურ ყვავილებსა და ბზის კოროებს დაუფარავს. ნაკრძალად გამოცხადებულ ზონაში უხვად ბუდობენ წყლის ფრინველები. ტბა სავსეა გარეული იხვებით, მათი მწკრივად ცურვისა თუ ფრენის ცქერას არაფერი სჯობია!.. ერთხელ მეგობარი მოგვიყვა, თუ როგორ აფრინდა ტბის პირას თეთრი ბატი. სეირნობისას ის ადგილიც მაჩვენა. თითქოს ჩამესმის კიდეც იმ ბატის ფრთების ფათქუნი!.. მოკლედ, ზღაპრული მხარეა ბიჭვინთა! — დაასკვნა საბოლოოდ კაცმა.

— მე კიდევ ლერწმნარი მიყვარს სანაპიროზე! — კი არა თქვა, თითქოს ამოიმღერა ქალმა. ეტყობოდა, უამესი მოგონებები აკავშირებდა ლერწმნართან.

ლერწმნარის ხსენებაზე ცეცხლი წაეკიდა კაცს. დაბნეულად გადაისვა თავზე ხელი, საყელო გაისწორა... — შარშან ბიჭვინთიდან ლერწმის თაველების კონა წამოვიღეთ... ახლაც მიწყვია ლარნაკში. ასე მგონია, იმაზე ძვირფასი არაფერი მაქვს სახლში. ღეროები გრძლად დავუტოვეთ. ვაგონში რომ ძლივს შევიტანეთ, წარმოიდგინეთ, რა დღეს დაგვაყრიდა ტაქსის მძღოლი. „ჩვენ ნება არა გვაქვს, ლერწმის თაველებს მანქანის უკანა სალონის კარიდან თავი გავაყოფინოთო!“ — გვიმტკიცებდა იგი, მაგრამ ბიჭვინთიდან ჩამოტანილ ლერწმებს თბილისის სადგურზე ხომ არ დავამტვრევდით?!.

— თქვენ პოეტი ხომ არ ბრძანდებით? — იკითხა ქალმა.

— არა, — გადაასხა ცივი წყალი, — პოეტი არა ვარ, მაგრამ ძალიან მიყვარს პოეზია! „მატარებელი მცხეთას გასცდა, საოცნებო და საწყალარი...“ — თითქოს ბეჭედი დაუსვაო თავის ნათქვამს. „მამაკაცის დედაკაცთან ყურს ჩამესმის საუბარი“, — განაგრძო ქალმა.

— უკაცრავად, თქვენ ხომ არ ბრძანდებით პოეტი? — შეუბრუნა კითხვა კაცმა.

იუმორესკა

— არა, — მიუგო თავის მხრივ ქალმა და ზუსტად კაცის სიტყვები გაიმეორა! — პოეტი არა ვარ, მაგრამ ძალიან მიყვარს პოეზია!..

— ეტყობა, ჩემი არ იყოს, მურმან ლებანიძის ლექსები მოგწონთ! — ჰკითხა დარწმუნებით კაცმა.

— კი, ძალიან მიყვარს მურმან ლებანიძის პოეზია!.. ერთხელ ჭიორაში ვნახე მურმანი, გაჩერებასთან ქვაზე იჯდა განმარტოებით, სიგარეტს ეწეოდა...

— მურმანს მე ახლოს ვიცნობ, — მოიწონა თავი კაცმა. — „მარეკები შლიდნენ ბანაკს, ქარი ჩამიჩუმით ქროდა...“ — დააყოლა ნათქვამს ეს სტრიქონი.

— „ვიწექ, რომელიღაც ბალახს უცებ — ქალის სული ჰქონდა...“ — წაართვა სიტყვა ქალმა.

ამასობაში მატარებელი მცხეთასაც გასცდა, გორსაც. ირგვლივ ყველაფერს მათრობელა სული ჰქონდა...

— ამდენი ხანია ვსაუბრობთ და ერთმანეთის სახელები არ ვიცით! — ახლაღა მოეგო გონს კაცი.

— ლალი მქვია. — ააციმციმა თვალები ქალმა.

— გივი! — შეაგება კაცმა.

წამით დუმილის ანგელოზმა ჩამოიფრინა...

— უკაცრავად, სად მოლვაწეობთ? — ჰკითხა კაცმა, უფრო იმიტომ, რომ უხერხული სიჩუმე დაერღვია.

— მე მეორე გაერთიანებაში.

— სად?!

— მეორე გაერთიანებაში.

— მეორე გაერთიანებაში?! — გაიკვირვა ვაჟმა. — მეც მანდ ვმუშაობ!

— თქვენ რომელ განყოფილებაში? — შეუბრუნა კითხვა ქალმა.

— მესამეში.

— რომელში?!

— მესამეში!

— რას მეუბნებით?! — ახლა ქალმა ვერ დაფარა გაოცება, — მეც მესამეში ვმუშაობ.

— რომელ ოთახში? — უკვე ცმუკვა დაიწყო კაცმა.

— 29-ში.

— რას მელაპარაკებით?! მეც 29-ში ვარ!..

— რომელი წლიდან მუშაობთ?

— 1960 წლიდან.

— ერთად დაგვიწყია მუშაობა! — წამოიძახა აღტაცებით კაცმა.

— როდის დაამთავრეთ ინსტიტუტი? — ჰკითხა ანთებული სახით ქალმა.

— 1960 წელს.

— დღის დასწრებული განყოფილება?

— დიახ!

— მეც დღის დასწრებული დავამთავრე სამოც წელში.

— რა სპეციალობით? — აეფაკლა სახე კაცს.

— მეთოდების დანერგვის...

— არ გადამრიოთ?! მეც მაგ განხრით დავამთავრე!..

— საგზური ვენერამ მოგცათ, არა? — იკითხა დაბნეულად ქალმა.

— სხვა ვინ მომცემდა?! — უპასუხა გაკვირვებით კაცმა.

— მეც მას გამოვართვი, გაგრის საგზურიღა ჰქონდა დარჩენილი!

— რა პატარაა საქართველო! ყველანი ერთმანეთის ნაცნობ-მეგობრები ვართ! რას ვიფიქრებდით ახლა ან შენ, ან მე, რომ აქ შეეხვდებოდით ერთმანეთს?!.

— მაშ! — დაუდასტურა ქალმა.

ამასობაში მატარებელმა წიფის გვირაბს მიაკივლა...

ნომადი ბართაია



ნახ. ბ. ხოსიტაშვილისა

უსიტყვოდ



ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიცვათ ზომიერება!

ყველამ ვიცით, რომ ჩვენებური სუფრა განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა, რაც ხშირად გვავიწყებს ჯანმრთელობისათვის ესოდენ აუცილებელ ზომიერებას. ზომიერება კი არამარტო ჩვენ წაგვადგება, არამედ იგი სამუალებას მოგვცემს მცირეოდენი წვლილი მაინც შევიტანოთ თანამედროვეობის ერთ-ერთი ურთულესი ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრაში.

ასე მაგალითად, თუ საქართველოს მოსახლეობა საშუალოდ ერთ კილოგრამს მაინც დაიკლებს წონაში, ეს ხუთი მილიონი კილოგრამით შეამცირებს დედამიწის წონას. ამას ჩვენ პრესის, ტელევიზიისა, რადიოს, ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებით მთელ მსოფლიოს ვამცნობთ და როდესაც პლანეტის მოსახლეობაც მხარს აგვიბამს, მაშინ ეკონომიკური ეფექტი ოთხ მილიარდ კილოგრამს გადააჭარბებს! ხედავთ, რა პერსპექტივაა?! ნუ გეშინიათ, დედამიწა ამით მიზიდულობის ძალას არ დაკარგავს, პირიქით, უფრო მიმზიდველი გახდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ძველი ტემპებით განვაგრძობთ დამძიმებას, ადვილი მოსალოდნელია, რომ ჩვენი პლანეტა ჩატყდეს!

ზაქი

„ჩვენს სოფელში გზები შესაკეთებელია, ტელეფონისა და რადიოს ხაზები გასაყვანია!“... — სწერდნენ რედაქციას ტყიბულის რაიონის სოფელ გურნიდან.

სახალხო დეპუტატების ტყიბულის საქალაქო საბჭომ რედაქციას მოსწერა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია. გასულ წელს ძირითადად დამთავრდა ორპირი-გურნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-გაფართოება, დაწყებულია მოსფალტების სამუშაოები. შიდა სასოფლო გზები მთლიანად მოხრეშილია. ამჟამად გურნაში შენდება 50-ნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგური, რომელიც ექსპლოატაციაში შევა მიმდინარე წლის ბოლოსათვის, გათვალისწინებულია სოფლის მთლიანი რადიოფიცირება.

* * *

რედაქციაში შემოსულ კოლექტიურ წერილში აღნიშნული იყო, **რომ გლდანის მასივის VIII მიკრორაიონის 27-ე კორპუსში ხშირად ირთვება ელექტროენერგია, სასმელი წყალი გაბინძურებულია, კორპუსის ტერიტორია კი — კეთილმოუწყობელი!..**

თბილისის სახალხო დეპუტატების გლდანის რაისაბჭოს აღმასკომი ამის შესახებ გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა. სასმელი წყლის გაბინძურების სალიკვიდაციოდ სასწრაფოდ გამოიცვალა გლდანის მასივის VIII მიკრორაიონის II კვარტალში წყალგაყვანილობის მილები, რის შემდეგაც კორპუსს უკვე ეძლევა სუფთა სასმელი წყალი. ოპერატიულად იქნა მიღებული ზომები ელექტროენერგიის შეუფერხებლად მიწოდებისათვის. რაც შეეხება კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას, ჯერჯერობით ეს შეუძლებელია, რადგან აღნიშნული ტერიტორია მშენებარეა და მიმდინარეობს საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა.

* * *

„საბურთალოს რაისურსათვაჭრობის №10, № 38 და თბილსამეურნეო ვაჭრობის №5, №32 მაღაზიებში ვაჭრობის წესებს არღვევენ!..“ — სწერდნენ რედაქციას.

თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველომ, რომელსაც რედაქციამ წერილი რეაგირებისათვის გადაუგზავნა, ამის თაობაზე გვიპასუხა: თქვენს მიერ გადმოგზავნილი წერილების საფუძველზე შემოწმებულ იქნა ზემოაღნიშნული მაღაზიები, რის შედეგადაც გამოვლინდა ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები. მაღაზიების (№10, №38, №5, №32) გამგეებსა და გამყიდველებს გამოეცხადათ საყვედური და გააფრთხილეს, რომ ანალოგიური ან სხვა სახის დარღვევების შემთხვევაში, მათ მიმართ გატარდება მკაცრი ღონისძიებანი.



ნახ. ჯ. ლოლაშვილისა

— **რატომ ჰქვია ამ სახინკლეს სპრინტი?**

— **აქ ხინკლებს სპრინტის ლატარიის ბილეთებივით ხსნიან, იქნებ რომელიმეში ხორცი აღმოაჩინონ!**

მახვილი და კალამი

ბრძენ ადამიანებს ბევრჯერ შეუდარებიათ ერთმანეთისთვის მახვილი და კალამი, როგორც ორივე ბასრი იარაღი თავთავის საქმეში.

ჩვენს დროში ასეთი შედარება უფრო მეტ აზრს იძენს, რაკი ისევე, როგორც ყველა საუკუნის მახვილი, თანამედროვე კალამიც ქარქაშიდან ამოდის და ქარქაშშივე ჩაიგება.

ნამდვილი მახვილის მსახვრალი ძალა ცნობილია.

უფრო მეტი ძალა აქვს კალამს, მაგრამ იგი კაცს მაინც არ უნდა კლავდეს, რადგან საგნობრივი დანიშნულებით გულში გასაყრელი იარაღი არ არის.

არც კალამი უნდა იყოს გარე თუ შინაური მტრის დამნდობი, მაგრამ მას მაინც მეტი კეთილშობილება მოეთხოვება განაჩენის გამოტანის დროს, ვიდრე ქარქაშიდან ამოელვებულ ხმალს, ხანჯალს, დაშნას თუ გორდას.

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ხმლით, ხანჯლით, გორდათი თუ დაშნით მოქმედ კაცს ხშირად დაფიქრების დრო აღარ რჩება, კალმით მეომარს კი ცოტა უფრო მეტი გონების მოკრების საშუალება აქვს.



ლაგამი

სანგრძლივი თათბირი მიმდინარეობდა დაწესებულებაში, მაგრამ საერთო აზრის გამოტანას საშველი არ დაადგა.

მოულოდნელად, თავაზიანად კი წამოდგა, მაგრამ თავისი განსხვავებული ყურადსაღები მოსაზრება დაუკითხავად გამოთქვა დამსწრე რიგითმა მუშაკმა.

ყველამ და, განსაკუთრებით დაწესებულების ხელმძღვანელმა, რომელიც თათბირს ატარებდა, წარბშეკვრით შეიცხადა ეს წარმოუდგენელი თავხედობა.

— ეგ კი არადა... — ანგარიშგასაწევი მოსაზრების განსჯის მაგიერ დამცინავად მიმართა მან რიგით მუშაკს. — აი, ის საქმე როგორაა, ამ წინებზე რომ დაგავალე?! მგონი, თავი ვერ გაართვი... ჰა?!

ცივწყალგადასხმული და პირში ჩალაგამოვლებული რიგითი მუშაკი ენაგადაყლაპულივით მონუსხული დაეშვა სკამზე.

ნიშნისმოგებით შესხენებული რომელიღაც საქმის თაობაზე მისი განმარტების მომსმენი ისედაც არ იყო ახლა დაწესებულების ხელმძღვანელი, მაგრამ მეტიჩარა მუშაკის მორიგი გამოხდომისგან საიმედოდ დაზღვეულმა უფროსმა თათბირი დამშვიდებით გააგრძელა.

გორგი გულაშვილ

ყველა, ვინც გიორგი გელაშვილს იცნობდა, იცნობდა მას ფიქრიან კაცად. მწერალს, ჟურნალისტს, მამულიშვილს სწორედაც ბევრი ჰქონდა საფიქრალი. ყოველთვის ასეა, როცა საქვეყნო საქმე, ხალხის სატკივარ-საზრუნავი საკუთარ სატკივრადაც გაქვს ქცეული და დღენიადაგ იმის ფიქრში ხარ, ჩემს ერსა და ჩემს სამშობლოს რით გამოვადგე, რით ვუჭირისუფლოო! მაგრამ როცა ბატონი გოგი იღიმებოდა, ეს ღიმილი გულიდან მოდიოდა და უცნაურად გადამდები იყო.

დაცინვა არ იცოდა, მაგრამ უფაქიზესი ირონია (ზოგჯერ თვითირონია) ხშირად ჩანდა მის საუბრებში, მის ნაწერებში. რისკენ იყო მიმართული ამ ირონიის ისარი? — ადამიანის ქედმაღლობისა და არათავმდაბლობისაკენ, ბაქიობისა და ყოყოჩობისაკენ, უვიცობისა და დიდგულობისაკენ, კარიერისტობისა და ბიუროკრატობისაკენ, უზნეობისა და მეტიჩრობისაკენ... ხოლო თუ კაცი ერის შემარცხვენელ საქციელს ჩაიდენდა, **გიორგი გელაშვილის** ირონია მრისხანე სატირად იქცეოდა და ასე მგონია, ძველი დრო რომ ყოფილიყო, დუელშიც გამოიწვევდა ასეთ კაცს, როგორც ერთხელ ეს **დავით კლდიაშვილმა** გააკეთა!..

მზე და ჩრდილივით განუყოფელი ფიქრი და ღიმილი **გიორგი გელაშვილის** მწერლური და ადამიანური არსების ორი მხარე გახლდათ.

ნარგიზა მგელაძე

გამრუდებული ლურსმანი

ძველი ხელმადლიანი ხელოსანი ლურსმანს პირველივე მარჯვე დარტყმით ქუდამდე აძვრენდა ფიცარში. ერთხელ კი კვერმა უმტყუნა და ლურსმანი წელში მოეკაკვა. შემცბარმა მოხუცმა უმალ მალულად მთელი საამქრო დაზვერა და ასე იგულა, რომ მისი მარცხი არავის დაუნახავს, თუმცა ერთს მაინც შეასწრო თვალი — ჯერ სრულიად ახალგაზრდა, იმედის მომცემ დურგალს, რომელსაც საამქროში ნაადრევად აქებდნენ და აყოყოჩებდნენ.

ახალგაზრდამ თავი იმით გასცა, რომ მოხუცი ხელოსნის მარცხზე მოურიდებლად ჩაიფრუტუნა. მაგრამ ფრუტუნთან ერთად მას კვნესაც აღმოხდა, რადგან სხვის აბუებაში თავად კვერით თითი დაიჩეჩქვა.

არც ერთის მარცხი არ გამოპარვია შუახნის ოსტატს, რომელიც შემინულ ჯიხურში უწყისს ადგენდა და დროდადრო საამქროს თვალს ავლებდა. ახალგაზრდა მუშის წინდაუხედაობაზე ოსტატმა სინდისის ქენჯნით თავისი სიყრმე გაიხსენა და სათვალეს სინანულის ღიმილით დაუწყო წმენდა. ოსტატი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა სათვალეს და უკვე აღარ დასცინოდა სათვალიანს იმ დღიდან, რაც სათვალე მასაც დასჭირდა.

ახალგაზრდა დურგალიც ხანში შევიდოდა და სხვის ხელისმოცარვაზე აღარ გაეცინებოდა.



ჭავლი

ზამთარი უსაშველოდ გაჭიანურდა, გაიწელა და გაზაფხულსაც უბოდიშოდ წაეტანა. უკვე ყვავილობაც დაიწყო, მაგრამ კიდევ ჩამოყრიდა ხოლმე სველ, მძიმე ფიფქებს, რომლებიც უმალ თოვლჭყაპად იქცეოდა და ყველას აღიზიანებდა. ხალხი წუწუნებდა, ასე თუ გაგრძელდა, სანატრელი გაზაფხულის გემოს ვერ გავიგებთ, თვალსა და ხელს შუა შეუმჩნევლად გაგვიქრებაო.

„უკანასკნელი თოვლი ჰგავს სუფრასთან ნადიმის დასასრულს გაჭირვეულებულ სტუმარს, რომელიც თავისთვის უკვე დაკარგულია და სხვას აუგემურებს. ასეთი თოვლიც მომაბეზრებელია და სტუმარიც“. — ასე გაიფიქრეს ერთი კარგი ოჯახიდან ღამე გამოსულმა სტუმრებმა. ისინი გულნაკლული იმიტომ იყვნენ, რომ ჯერ იყო და, კეთილ მასპინძლებს მთელი წვეულება აუშალა ერთმა ზომაზე მეტად ნაყლაპმა და უხეიროდ ატროკებულმა სტუმარმა, შემდეგ კი აგერ ქუჩაში გამოსვლისთანავე შეეფეთნენ უკანასკნელ თოვლს, რომელსაც ყავლი დიდი ხანია გასვლოდა.

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფრა ვაკეა • საგალობელ-იმბიერული კოლორიტი

№ 475
24.VII 1986

ბალადა

კაცია — თეთრი საყელო
და ღიპიანი ფრაკი;
დაბალი, სამაგიეროდ,
ჩვენზე მაღალი რანგით.
ბუნებრივია — ცისფერი
„ვოლგა“ აკითხავს რაკი,
იმისი შესაფერისი
ექნება აგარაკიც,
ნაგები — მკვიდრად ნაგები!—
არ უნდა ლაპარაკი!

სულაც არ გაუჭირდება —
ხვალ-ზეგ დაიცავს ხარისხს
რითმაზე, მე რომ
მჭირდება —
ხარის — თვალები ხარის!..
ხომ უნდა ჰქონდეს, ასე
ვთქვათ,



პაწა იმედი ხვალის:
ერთი ჰყავს — ლომის
ბოკვერი,
ოთხი — სარჩენი ქალი!..
დიდება, — საშვილიშვილო
ვინც მოიხადა ვალი!

მიირთმევს ფრანგულ
კონიაკს,
იმერულს სწუნობს არაყს,
ზოგჯერ ამიტომ, ჰგონიათ,
არაქსში ურევს არაგვს;
მე კი, უმეცარს, მეგონა,
რომ ფრანგს არაქსი არ
აქვს...

მაგრამ ამაზე კამათი —
ნაყვაა წყლისა, — კმარა! —
თუ არ ვარგიხარ
საყვარლად,
მით უარესი — ქმარად!..

ცოლები გადაგვირია, —
რად არ ბაძავთო ამ კაცს?!
სულ რაღაც ორ-სამ კვირაში
იმკისო წლობით სამკალს.
იმაზე არას ამბობენ, —
სხვაგან საყვარლობს სამ
ქალს
(სამ ქალს რა რითმაც
უხდება,
მე მათგან ვიცი — „სამკა“...).

ისე, ეშმაკმა დალახვროს,
არ უნდა იყოს ცუდი, —
ყამიყამ სული მოითქვა
რამოდენიმე წუთით,
თუ, რა თქმა უნდა,—ქიცინი
არ უნდა ამას კუდის, —
ერთხელაც არ გხურებია
თავზე ნამუსის ქუდი!

ჩვენ ვკვდებით
ყოველდღიურად,
ცოცხლად ამოგვდის სული,
წინსაფრიანი ცოლების
თვალებით დაისრული,
როცა იმ კაცის ხასების
კაბების შარიშური
ქალაქს დილიდან აგიყებს
ალერგიული შურით.

„ — ნეტა, ის, შენი, არ იყოს
გოეთე, ან ეგ დოდე...“ —
მწარე სიცილით ჰყვებიან



ცოლები ანეკდოტებს.
უფალმა ნუმც მოგვიშალოს
მათი სიცილი, ოდეს
ქუჩაში მოვაფართხუნებთ
განიერ შარვლის ტოტებს;
სხვები თუ ჰგვანან
პინგვინებს,
ჩვენ ვგავართ მიკიოტებს:
ის დროა, ამ სიბერის ჟამს,
ხმამაღლა მივკიოდეთ
ჩვენსმდე ჯერ მოუღწეველ
და უკვე გასულ მოდებს
(მადლობა, ვინც ჩვენს
გასაჭირს
ხვალ მთელს ქვეყანას
მოდებს!).

კერპებად არ გაგვიხდია —
თაყვანს არ ვცემდით
ზოდებს.



შეგვინდოს აზრთა
განმრიგემ,
ლექსებით თუ რამ ვცოდეთ!
ეტყობა, მუზის მსახურნი,
აქაც ჩამოვრჩით მოდებს;
ჩაიხედავენ წიგნებში —
გაეცინებათ მოთებს.

„ — როგორიც ეცვათ
შარვალი,
ლექსიც იმგვარი შვენით!“—
იტყვიან, და ეს იქნება
აღიარება ჩვენი!..

ან ლექსი, ანდა შარვალი
რა ჭირად გვინდა, რა ქვად,
თუ დაირცხვინა ბავშვობის
ქუჩის დროდადრო დაგვა?!

მიჯობს, ამ ლექსის არ იყოს,
შარვალი დიდი ზომის
და — სავსე მადლიერებით—
თვალები მეეზოვის!

ზოგიერთების სენი

ჩვენ რომ გადავამეტებთ,
სხვა რომელი ქვეყნის
ურჯუკს დაესიზმრება,
სხვა ვინ დაიკვეხნის?!

ვერა, ვერ წარმოიდგენს
სანაპიროც სენის,
რანაირი სენი გვჭირს,
უცნაური სენი!

პირში ვისაც ვადიდებთ,
დავადევნებთ რისხვას.
სხვას არც დაესიზმრება
ჩვენზე მაგარი სხვა.

ვაი, ჩვენი სიბეცე! —
გვიან შეგვიტყვია!—
რიკოშეტით გვიბრუნდება
გასროლილი ტყვია!..

რუსთაველზე გავივლი,
ფარს შევიძენ ბარემ.
არა, მკერდზე კი არა,
ზურგზე ავიფარებ.

ვერა, ვერ წარმოიდგენს
სანაპიროც სენის,
რანაირი სენი გვჭირს,
გადამდები სენი!

ისე ვკარგავთ ერთმანეთს
და ვიმეტებთ, თითქოს
უკვე აღარ ვჭირდებოდეთ
კრწანისსა და დიდგორს!

ნუ გასწირავთ, ბიჭებო,
შოთას, სულხანს,
დავითს! —
უფრო გამოადგებიან
ერს ცოცხალი თავით!..

ილუსტრაციები
ჯ. ლოლუასი

7-86

86-475

სულიერების აუქციონი

პოლიტიკური ფელეტონი

დასავლეთ ევროპის ქალაქების მომნუსხავი ცივი სიზვიადე, ამერიკის ცათამბჯენების დამთრგუნავი სიმაღლე, საფირმო რეკლამებით აჭრელებული ფასადებით ფასდება!.. რეკლამები გვაუწყებენ, რომ იყიდება პეპსი-კოლა და კოკა-კოლა, იყიდება ვისკი და კოქტეილი, იყიდება ცივი და ცეცხლმსროლელი იარაღი, იყიდება ყველაფერი, რასაც კი მოისურვებ, იყიდება ბითუმად თუ განვადებით, ნისიადაც მოგცემენ, ოღონდ გყავდეთ... გქონდეთ ფული — თავმდები!

ფულიან კაცს ელოდება ფერადი ლიმუზინი, გაწყობილი სერვისით, ბენზინით; ელოდება კომფორტაბელური ვილა და ფეშენებელური ჰოტელი, ელოდება ჰოლი-კაბინეტი, სეიფი აქციებით, დივიდენდით. მისია კაზინო, სტრიპტიზი, კაბარე, კლუბი, რესტორანი, კაფე-შანტანი...

მდიდართა კვარტალების რა დალევს ცოუნებებს, ისინი მრავლდება, ვით ნაკელზე სოკო, იქით კი, ქალაქგარეთ, ღატაკთა უბნებში, ქოხმახთა ფასადებზე სად ნახავ რეკლამას?! არ არის არც ცოუნება და არც ფუფუნება! რის სოკო, რა სოკო?!.

ვიწრო ჩიხები!.. უღიმღამო სახლების ვიწრო სარკმელებში ჩამქრალა ელექტროს, ხალისის შუქი, აქ განიერი ქუჩით მოდის სატკივარი, გადასახადი, ჯარიმა, შიში!.. განიერი ქუჩებით მოდიან სანდვიჩებიც — მკერდზე ფირფიცარგაკრული ადამიანები, თავიანთ გაჭირვებას წერენ ფირფიცარზე, რათა წააკითხონ ბოსებს!.. წააკითხონ, თორემ მათი სიბრალულით ერთბაშად მთელი სენატი თვალებს დაიოსებს! აქ ფასი არა აქვს ზნეობრივ ღირსებებს, ხურდავდება ფულზე „პერსონა გრატა“, მდიდართა კვარტალში სიგარაგაზრილი ვინმე ბიზნესმენი ტოტალიზატორში ათასებს ფანტავს. აქ ფართო ქუჩით დაძრწის ძალადობა, ყოველ წუთს, ყოველ წამს ვიღაცას კლავენ, ვიღაცას ძარცვავენ, ფულს, ნამუსს ართმევენ, ვიღაცა თავს იკლავს დასვრილი, ბითური... ვიღაცა კოტრდება, მიცურავს უფსკრულში, ქონება, ცხოვრება სხვას რჩება ოხრად!..

აქ ჩამოწერილ ძველმანს და ნახმარს, ზოგჯერ ახალსაც, კარგს და ფასეულს, სხვა აქვს ბაზარი— აუქციონი.

საჯარო ვაჭრობით, ჩაქუჩის ცემით ხტუნაობს ფასი ზევით და ქვევით. ქარს მიაქვს გაკოტრებულთა სარჩო-საბადი... ვის — თავს ჭრიან სირცხვილით, დარდით, ვინ — ფულს მიიხვეტს ნიჩბით, არნადით!..

ხოლო გაკოტრებული კომპანიის, მთავრობის გაუფასურებული სოციალური აქციები სულ სხვა აუქციონზე იყიდება — შრომის ბირჟებზე!

აქ სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველი — სამუშაო ძალა — იყიდება! ძალა, რომელსაც ყველა ღირსება წართმევია, გაუფასურებულა, ხოლო მათი პატრონები „ზედმეტ ადამიანებად“ ქცეულან კაპიტალისტურ სამყაროში.

უმუშევართა არმიებს, შრომის ბირჟებს ყოველდღიურად რომ აწყდებიან, უფასო წყალწყალა სუპის მისაღებად მდგარ ბოგანოთა რიგებს ყოველ წელს ახალ-ახალი ნაკადი ემატება — ახალგაზრდობა.

მოდიან ტანკენარი ქალიშვილები და ახოვანი ჭაბუკები, კოლეჯებისა და უნივერსიტეტების დიპლომებითა და მეოცნებე სახეებით მოაბიჯებენ შტრასეებზე და ავენიუებზე, მათ ჯერ კიდევ სწამთ „თავისუფალი სამყაროს“ მიერ აღთქმული სამოთხე. მათი სახით თვითონ სილამაზე მოაბიჯებს მომავლისაკენ გზის გასაგნებად, მაგრამ პირველივე ფირმის, კომპანიის, ქარხნის შესასვლელთან ტრიალა ტურნიკებს აწყდება და ზედ ემსხვრევა იმედი. ტრიალებს საწარმოს შესასვლელთან ტურნიკები, შიგნით სათითაოდ უშვებს მხოლოდ იმ ბედნიერ გამონაკლისებს, ვისაც სამუშაო აქვს.

ამაოების ბაზარზე მდგარ ქალიშვილებს და ჭაბუკებს რომ შესდავ, უნებლიედ გახსენდება შუა საუკუნეების მონების ბაზარი, ახლაც, როგორც მაშინ, ამაოების სენმორეულ აუქციონზე ფასი დაჰკარგვია ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას, ფიზიკურ და სულიერ სილამაზეს და ოცნებაც ძლიერთაგან ფეხქვეშ სათელი, აბუჩად ასაგდები გამხდარა.

დაღვრემილი სახეები, ჩამქრალი თვალები, უსიცოცხლო მზერა, — ასეთი გარეგნული ნიშნებით და კიდევ დიპლომებით გამოარჩევთ შრომის ბირჟებზე ახალბედებს, სასწავლებლებიდან რომ მოსულან და ახლა აღარ იციან, საით გადადგან პირველი ნაბიჯი — ქურდობის, ძარცვის, მკვლელობისა თუ ნარკომანიისაკენ. არის კიდევ ერთი გზაც — თვითმკვლელობა, რასაც არცთუ იშვიათად ადგებიან, რადგან ის ერთადერთი სწორი გზა შრომისა და შემოქმედებისაკენ სამუდამოდ დახშულია და პრომონოპოლისტური ჩიხის აღმნიშვნელი საგზაო ნიშანიც ახლავს.

ასეთი ჩიხის წინაშე დგას დასავლეთ ევროპის ქვეყნების 4 მილიონ 400 ათასზე მეტი ახალგაზრდა, მათ ნახავთ ბონში და პარიზში, ბოლონიაში და ბელფასტში. ყველგან მოდაში შემოვიდა „უნივერსიტეტის დიპლომის“ მაგიერ იხმარონ „უმუშევრობის პასპორტი“.

უმუშევრობის პასპორტით შეგიძლია იარო იაფფასიან კაბარეებში, როგორც ამას მადრიდელი ანტონიო გარსია აკეთებს ბედით თანაზიარებთან ერთად, რადგან მიაჩნია, რომ „აზრი არაა ქვს სამუშაოს ძებნას“, ხოლო 19 წლის პარიზელი მაბული პირდაპირ ამბობს: „ჩვენ ვმათხოვრობთ, სხვები ქურდობენ! ვითომ, რა განსხვავებაა?“

ლივერპულის ქოხმახებში ერთადერთი აყვავებული „დარგი“ ვაჭრობაა. „ჩვენთან ორი ეპიდემია მძვინვარებს — უმუშევრობა და ნარკომანია!“ — წუხს სამი შვილის დედა ჯოან კეიფი.

„ახალგაზრდობის უმუშევრობა — ეს კიბოს სიმსივნეა!“ — ამბობს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ფაბიუსი, — „ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მას!“

რომის უნივერსიტეტის პროფესორი ფრანჩესკო ფერაროტი კი თითქოს რეზიუმეს უკეთებს ყოველივე ამას: „ახალგაზრდობა აღარაფერს ელოდება იმ სოციალური სისტემისაგან, რომელიც მათზე არ ზრუნავს“.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოდიან თაობები, რომლებიც ყოველწლიურად ერწყმიან იმ ზედმეტ რეზერვს სამუშაო ძალისა, რომელსაც „ხანგრძლივად უმუშევარი ახალგაზრდობა“ ჰქვია.

ასე ტბორდება უკმაყოფილება, დიდდება და უკვე ნაპირებს გადადის, მაგრამ ხომ შეიძლება ტბორზეც აღიმართოს მრისხანების ზვირთი?!.

მანამდე კი დასავლეთის ქალაქებში კვლავ და კვლავ გაისმის აუქციონის ჩაქუჩის რიტმული კაკუნი!..

საჯარო ვაჭრობით იყიდება სილამაზე, ფიქრი და ოცნება ხვალინდელ დღეზე!..

ელგუჯა მერაბიშვილი

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 13 (1719). ივლისი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეძვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

●

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

●

გადაეცა ასაწყობად 9.06.86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.07. 86 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/4 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვ. 1420 УЕ 05090 ტირაჟი 143.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან — მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137